საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/01

ქ. ბათუმი 10 თებერვალი, 2022 წელი

,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის N07-01/47 გადაწყვეტილებაში დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES4220000097405, 01/02/2022) საფუძველზე, წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის N07-01/47 გადაწყვეტილებაში შევიდეს დამატება, კერძოდ, N1 დანართში (წესის) **მე-6 მუხლს მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:**

,,7. ბსუ-ს სტუდენტს (გარდა დამამთავრებელი ან დამატებითი სემესტრის სტუდენტისა) **<u>სასწავლო სემესტრში 100 აშშ დოლარის ჩათვლით</u>** სწავლის საფასურის დავალიანების შემთხვევაში არ შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი (აღნიშნული დავალიანება პირველ რიგში დაიფარება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის ანგარიშზე შემოტანილი თანხიდან).“.

2. წინამდებარე გადაწყვეტილებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით იურიდიულმა დეპარტამენტმა მოამზადოს ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის“ კოდიფიცირებული აქტი, გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“), ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ინგლისურენოვან ველში).

3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, თარჯიმანს და სასწავლო პროცესის დეპარტამენტს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**